თედო დუნდუას გახსენება

2025 წლის 14 ოქტომბერს, მცხეთობა-სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე ზეციურ საქართველოს შეუერთდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თედო გიორგის ძე დუნდუა (1961-2025)...

ჩემს საპატიო მოვალეობად მიმაჩნია, რომ როგორც მისმა კოლეგამ და მეგობარმა გავიხსენო ეს პროფესიონალი მეცნიერი, პედაგოგი, პიროვნება და მოქალაქე, რომელმაც ამაგი დასდო ქართულ ისტორიოგრაფიას და თაობები აღზარდა.

ვინაიდან ჩვენი ურთიერთობა მესამედ საუკუნეზე მეტხანს გრძელდებოდა, მოსაგონარი ბევრი მაქვს, თუმცა, ქვემოთ მხოლოდ სამ ეპიზოდს გავიხსენებ.

* * *

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გავიცანი იმხანად ყველაზე ახალგაზრდა და პერსპექტიული ლექტორი ისტორიკოსთა შორის - თედო დუნდუა, რომელიც სულ 29 წლის ასაკში მყოფი, თავისი ნიჭიერებითა და მგზნებარე ორატორული მონაცემებით მხარს ღირსეულად უმშვენებდა ისეთ სახელოვან მეცნიერებს და უდიდესი გამოცდილების მქონე პროფესორებს, როგორებიც იყვნენ ან განსვენებული ჩემი ძვირფასი მასწავლებლები: გივი ჟორდანია, ოთარ ჯაფარიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ვალერიან (ვალიკო) მაჭარაძე, გივი ჯამბურია, ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილი, გურამ გრიგოლია, გია ავალიშვილი და სხვები. უფალმა განათლოს მათი სულები...

სწორედ იმ პერიოდში საქართველოს უზენაესი საბჭოს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოქვეყნდა ჩემი ორი სტატია, კერძოდ, 1991 წლის 19 ნოემბერს - „ქართული ვალუტა: მითი და რეალობა“ (იხ.: № 226 /246, გვერდი 3), ხოლო 3 დეკემბერს - „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფული“ (იხ.: № 236 /256, გვერდი 3).

4 დეკემბერს, ოთხშაბათს, დილაადრიან, ჩვეულებისამებრ მივედი უნივერსიტეტში, სადაც მეორე სართულზე, კიბიდან ხელმარჯვნივ, კუთ-

ხეში მდგარ ფანტანთან შემხვდა ყველასათვის საყვარელი პროფესორი გია ავალიშვილი. მან მისთვის დამახასიათებელი კეთილი ღიმილით მითხრა: - „წავიკითხე შენი სტატიები, რომლებიც ძალიან მომეწონა როგორც მე, ასევე დიდ ქართველ ნუმიზმატს, პროფესორ ჟორა დუნდუასაც (ასე ეძახდნენ შინაურები გიორგი დუნდუას. ნ. ჯ.). მან მთხოვა, შენთვის გადმომეცა თავისი ბინის ტელეფონი. აბა, ჩაიწერე: 95-09-71 და დღესვე დაურეკე“...

აქვე დავსძენ, რომ ზემოხსენებული ისტორიული ფანტანი, საიდანაც მორაკრაკე, საოცრად გრილი წყარო თავის დროზე შეუსვიათ დიდ ქართველ მეცნიერებს და მამულიშვილებს: ივანე ჯავახიშვილს, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილს, კორნელი კეკელიძეს, აკაკი შანიძეს, შალვა ნუცუბიძეს და სხვებს, სამწუხაროდ, მოგვიანებით ჩატარებულ ე. წ. კაპიტალურ რემონტს შეეწირა. ამის სავალალო შედეგი კი ის არის, რომ ამჟამად ჩვენს „ალმა-მატერში“ პროფესორებსაც და სტუდენტებსაც პლასტმასის ბოთლებში ჩამოსხმული წყლით გვიწევს სიარული...

ბატონი გიორგი დუნდუას დაინტერესებამ ჩემი სტატიებით ძალიან გამახარა. ის ხომ აღიარებული ნუმიზმატი და უამრავი საყურადღებო ნაშრომის ავტორი გახლდათ. აღელვებულმა დავურეკე და ვეუბნები:

- „ბატონო გიორგი, პროფესორმა გია ავალიშვილმა გადმომცა თქვენი თხოვნის შესახებ. გისმენთ ყურადღებით“... ბატონი გიორგი მეუბნება: „გიწვევთ ჩემს ბინაში, რომელიც მდებარეობს დავით აღმაშენებლის № 111-ში, IV კორპუსში“... მეც დათქმულ დროს ვეწვიე. კარი გამიღო ბატონი გიორგის მეუღლემ, ქალბატონმა ლეილა იმედაშვილმა (1934-2016), რომელიც არაჩვეულებრივი გარეგნობის მანდილოსანი გახლდათ, წარმოსადეგი, ღია ცისფერი თვალებით. მან მიმაცილა ბატონი გიორგის კაბინეტამდე, რომელიც პირველ სართულზე მდებარეობდა. ოთახი წიგნებით იყო სავსე. ბატონი გიორგი თბილად შემეგება და ხანგრძლივად მესაუბრა. გაუხარდა, როცა გაიგო, რომ მის ვაჟს ასე კარგად ვიცნობდი. ქალბატონმა ლეილამ ჩაი, ყავა და ტკბილეული მოგვართვა და ქრისტეშობისთვის ის ცივი დღე უცებ გაგვითბო-გაგვილამაზა. მისი თანდასწრებით ბატონო გიორგი გამომცდელად მეკითხება: - „აბა, როგორი ლექტორია თედო?“ – „იმდენად კარგია, რომ მის ლექციებს არა მხოლოდ ჩვენ, ისტორიკოსები არ ვაცდენთ, არამედ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც კი ესწრებიან“ - ვუპასუხე.

ეს პასუხი მშობლებს, ბუნებრივია, ესიამოვნათ. ბოლოს, ბატონი გი-

ორგი მეკითხება: „თქვენი სტატიები ძალიან მომეწონა. გამართული ქართულით წერთ, რაც არ გამკვირვებია, რადგან გია ავალიშვილისაგან გავიგე, თუ ვისი ვაჟიც ყოფილხართ... მაინტერესებს ერთი საკითხის გარკვევა: აპირებთ თუ არა კვლევა-ძიების გაგრძელებას ამ თემაზე?“ მეც ვუპასუხე: „რასაკვირველია. ამჟამად პარალელურად ვმუშაობ დამოუკიდებელ ნაშრომებზე ქართული ჯილდოებისა და ქაღალდის ფულის ნიშნების შესახებ, რომლებსაც რამდენიმე წელიწადში დავასრულებ. მოკრძალებით შემიძლია შემოგთავაზოთ მათი რეცენზირება, თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით“.

ბატონ გიორგის ჩაეღიმა და მითხრა: „ვითომ რატომ უნდა ვიყო წინააღმდეგი? ვინაიდან ეს საკითხები მეც ძალიან მაინტერესებს, დიდი სიამოვნებით გავეცნობი თქვენს ნაშრომს“... მცირე პაუზის შემდეგ კი მან სერიოზული სახე მიიღო და დასძინა: - „ოღონდ, იცოდეთ, რომ ძალიან მკაცრი შემფასებელი ვიქნები და შენიშვნებს არ დაგაკლებთ“...

ნუმიზმატიკის ასეთი ბუმბერაზი სპეციალისტის სიტყვების მოსმენამ ცოტა ჩამაფიქრა, მაგრამ თან ძალიან გამახარა. აქტიურად განვაგრძე სამეცნიერო საქმიანობა და 1995-1996 წლებში მისი რეცენზენტობით დამოუკიდებელ წიგნებად გამოიცა ჩემი მონოგრაფიები, სახელწოდებით: „ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა)“ და „ქართული ბონისტიკა (ქაღალდის საფასთმცოდნეობა)“. ამ ნაშრომების განვრცობილი ვერსიების საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1997 წლის 2 ივნისს დავიცავი საკანდიდატო, ხოლო 2003 წლის 7 აპრილს - სადოქტორო დისერტაციები. ბატონი გიორგი დუნდუა ორივე ჩემი დისერტაციის ოფიციალური ოპონენტი გახლდათ და ფრიად კვალიფიციური რეცენზიები წარმოადგინა. სხვათა შორის, ორივე რეცენზიის ბეჭდით დამოწმებული ეგზემპლარი, უნივერსიტეტის არქივში დაცული სადისერტაციო დოკუმენტაციის გარდა, ჩემს ოჯახშიც ინახება.

* * *

2003 წელს, პროფესორებთან გიორგი და თედო დუნდუებთან ერთად, მონაწილეობა მივიღე საქართველოს ეროვნული ბანკის უმნიშვნელოვანეს პროექტში, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მიმოქცევაში უძველესი დროიდან თანამედროვე პერიოდამდე მიმოქცევაში მყოფი ლითონისა და ქაღალდის ფულის ნიშნების ალბომ-კატალოგის გამოსაცემად მომზადებას და წიგნად დასტამბვას. იმავე წლის მიწურულს ამ ნაშრომმა დღის სინათლე იხილა. ის გამოიცა ქართულ და

ინგლისურ ენებზე, სახელწოდებით: „ფული საქართველოში“/„Money in Georgia” (თბილისი, 2003).

ჩვენი თანაავტორობით დაწერილი ეს უხვად ილუსტრირებული, ფერადი წიგნი, რომელსაც გამოყენებული ლიტერატურის ვრცელი ნუსხა ერთვის, მოიცავს შემდეგ თავებს:

1)„კოლხური თეთრი. ძვ. წ. VI-III საუკუნეები;

2) კოლხეთი ელინისტურ ხანაში. ძვ. წ. IV-I საუკუნეები;

3) იბერიის სამეფოს სამონეტო ბაზარი. ძვ. წ. III - IV საუკუნეები;

4) პირველი ქართულწარწერიანი მონეტები. IV-VII საუკუნეები;

5) საქართველოს სამონეტო ბაზარი არაბობის დროს. VIII-X საუკუნეები;

6) ერთიანი ქართული მონარქია და ქართულ-ბიზანტიური მონეტები. X-XI საუკუნეები;

7) ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა“ საქართველოში. XII საუკუნეები;

8) „ვერცხლის კრიზისის“ დასასრული. მონღოლური „საოკუპაციო“ სერიები და კირმანეული თეთრი. XIII საუკუნე;

9) გიორგი V ბრწყინვალე და „გიორგაული თეთრი“. XIV საუკუნეები;

10) შირვანული თანგები და ვენეციური ოქროს დუკატები საქართველოს ფულად ბაზარზე. XV საუკუნეები;

11) თუმანი, აბაზი, შაური და ერეკლე II-ის „სირმა აბაზი“. XVI-XVIII საუკუნეები;

12) რუსულ-ქართული ფულის ემისია. 1804-1834 წლები;

13) რუსული ფული. 1834-1917 წლები;

14) საქართველოს და ამიერკავკასიის ბონები. 1918-1924 წლები;

15) სსრ კავშირის ფული. 1924-1992 წლები;

16) საქართველოს ეროვნული ფული. 1993-2003 წლები.

ეს ალბომ-კატალოგი დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს მეცნიერთა წრეში.

* * *

2004 წლის გაზაფხულზე მქონდა პატივი, რომ პროფესორებთან: ზაზა აბაშიძესთან, თედო დუნდუასთან, ყარამან ქუთათელაძესთან და გოგი ხოშტარიასთან ერთად უშუალო მონაწილეობა მიმეღო საქართველოს სახელმწიფო გერბის ესკიზის შერჩევის პროცესში.

სახელმწიფო გერბის ესკიზის შემრჩევი ჟიური 2004 წლის 8 მაისს შეიქმნა (ოქმი # 6). მისი სხდომა 19 მაისს გაიმართა. ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად გამოვლინდა სახელმწიფო გერბის საუკეთესო ესკიზი, რომლის ავტორი გახლდათ მხატვარი-ჰერალდიკოსი მამუკა გონგაძე. 21 მაისს შედგა მისი პრეზენტაცია. ამას მოჰყვა საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, რომლის დღის წესრიგშიც იდგა - სახელმწიფო გერბის ესკიზის განხილვის საკითხი. ხანგრძლივი დებატებისა და გერბის ესკიზის გარკვეული დახვეწის შემდეგ, 2004 წლის 1 ოქტომბერს პარლამენტმა მიიღო და დაამტკიცა ორგანული კანონი „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ორგანული კანონით დადგენილია სახელმწიფო გერბის, როგორც სახელმწიფო სიმბოლოს, აღწერილობა, მისი გამოსახვის ფორმები, გამოყენების სფერო, გამოყენებისა და დაცვის წესი, ასევე შექმნილია სახელმწიფო სიმბოლოებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების მიზნით, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო. საქართველოს სახელმწიფო გერბი გამოისახება სახელმწიფო და მცირე სახელმწიფო გერბების ფორმით, ერთ ფერში, ჰერალდიკური დაშტრიხვით ან მის გარეშე.

სახელმწიფო (დიდი) გერბის აღწერილობა ასეთია: „სახელმწიფო გერბი წარმოადგენს ჰერალდიკურ ფარს, რომლის მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრის ბუნიანი ვერცხლის შუბოსანი, ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი, ვერცხლის ცხენზე ამხედრებული, ოქროს შარავანდედიანი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი. ფარი დაგვირგვინებულია ივერიული (ქართული) გვირგვინით. ფარისმტვირთველი ორი ოქროს ლომი ვაზის სტილიზებული ორნამენტის საფუძველზე დგას. საფუძველზე გადმოფენილია ვერცხლ-მეწამული სადევიზე ბაფთა (ავერსი – ვერცხლი,

რევერსი – მეწამული). ბაფთის ვერცხლის ველზე სევადისფერი ქართული მხედრული ანბანით წარწერილია დევიზი: „ძალა ერთობაშია“. ბაფთაზე, სადევიზე წარწერის თავსა და ბოლოში, გამოსახულია მეწამული ჰერალ-დიკური ჯვრები“.

სახელმწიფო (მცირე) გერბის აღწერილობა ასეთია: „მცირე სახელ-მწიფო გერბი წარმოადგენს ჰერალდიკურ ფარს. ფარის მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრით დაბოლოებული ვერცხლის შუბით ვერ-ცხლის გველეშაპის განმგმირავი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი ოქროს შარავანდედით. ფარზე ივერიული (ქართული) გვირგვინია“.

ამდენად, პროფესორი თედო დუნდუა და ამ სტრიქონების ავტორი, ზემოხსენებულ სამ პიროვნებასთან ერთად, ვიყავით უშუალო მონაწილე-ნი საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო გერბის ესკიზის შერჩევისა.

* * *

უფალმა ნათელში ამყოფოს პროფესორ თედო დუნდუას სული!

ნიკო ჯავახიშვილი